



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 311

ქალაქი ქუთაისი 28 სექტემბერი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველების“  
გაუქმების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-4, მე-9 და მე-14 პუნქტების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველების“ წევრის, ბექა ყანჩელის 2016 წლის 20 სექტემბრის №431-02 წერილობითი განცხადების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველების“ 2016 წლის 26 სექტემბრის №1 სხდომის ოქმის, ამ ფრაქციის 2016 წლის 27 სექტემბრის №439-02 წერილისა და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 27 სექტემბრის №446-02 დასკვნის საფუძველზე:

**მუხლი 1.** ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველების“ წევრი, ბექა ყანჩელი პირადი განცხადების საფუძველზე, გავიდა ამ ფრაქციის შემადგენლობიდან;
2. გამომდინარე იქედან, რომ ფრაქციის შემადგენლობაში დარჩა 2 წევრი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველები“ გაუქმებულია;
3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველების“ თავმჯდომარე, ლაშა გვენეტაძე განთავისუფლებულია ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

/ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველების“ წევრის, ბ.ყანჩელის 2016 წლის 20 სექტემბრის №431-02 წერილობითი განცხადება, ამ ფრაქციის 2016 წლის 26 სექტემბრის №1 სხდომის ოქმი, ფრაქციის 2016 წლის 27 სექტემბრის №439-02 წერილი და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 27 სექტემბრის №446-02 დასკვნა წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის/

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაში შევიდეს 2016 წლის 1-ლი ოქტომბრიდან.